პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი
კვირა 30 მარტი
№ 75 (17718)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „1980 წელს უხეში და წვნიანი საკვების წარმოების გადიდებისა და ხარისხის ამაღლების დამატებითი ღონისძიებების შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში უკანასკნელი წლების მანძილზე უხეში და წვნიანი საკვების წარმოების მოცულობა ვერ აკმაყოფილებს მეცხოველეობის მზარდ მოთხოვნილებებს.

ამ წლებში საკვების დამზადების გეგმების შესრულებას მნიშვნელოვნად დააკლეს რუსეთის სფსრ რესპუბლიკის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, ლიტვის სსრ და ლატვიის სსრ მეურნეობებმა. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად უძღვებიან თავის, წვნიანი და სხვა სახეობათა საკვების წარმოების ორგანიზაციას მორდვეთისა და ბურიატეთის ასს რესპუბლიკებში, ასტრახანის, პენზის, ნოვგოროდის, ფსკოვის, სმოლენსკის, რიაზანის, ორიოლის, ლიპეცკის, კურსკის, ტერნოპოლის, სუმის, ხმელნიცკისა და ზოგიერთ სხვა ოლქში, სადაც საკვების დამზადების საშუალო წლიური მოცულობა მეცხრე ხუთწლედთან შედარებით შემცირდა ან უმნიშვნელოდ გაიზარდა.

ზოგან საკვებწარმოება პრიმიტიულად წარმოებს, დროზე არ იღებენ ბალახს, სასილოსე კულტურებსა და ძირხვენებს, ირღვევა თივის, სენაჟისა და სილოსის დამზადების ტექნოლოგია, ჯერაროვნი ყურადღება არ ეთმობა საკვებსაცავების მშენებლობას, რის შედეგადაც დამზადებული საკვების ხარისხი დაბალია. მნიშვნელოვნად შემცირდა ბუნებრივი საკვები სავარგულების ძირეული გაუმჯობესების, მაღალპროდუქტიული სარწყავი სათიბ-საძოვრების შექმნის სამუშაოთა მოცულობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის იანვლისის პლენუმზე შემუშავებულ იქნა საკვები ბაზის განვითარების კონკრეტული პროგრამა, მაგრამ ამ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებანი ადგილებზე ჯერ კიდევ საკმაოდ ენერგიულად არ ხორციელდება. ყოველივე ეს მოწმობს, რომ მთელ რიგ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში დაქვეითებულია პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ უზრუნველყონ მეცხოველეობა საკუთარი წარმოების ხარისხოვანი საკვებით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ კიდევ ერთხელ მიაპყრეს პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ყურადღება იმას, რომ უხეში და წვნიანი საკვების ნაკლებობა საზოგადოებრივი მეცხოველეობის დაბალი პროდუქტიულობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია და ამას შედეგად მოსდევს მარცვლეულის მნიშვნელოვანი გადახარჯვა, რაც ყოვლად შეუწყნარებელია.

იმ მიზნით, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობა და მოსახლეობის პირად საკუთრებაში არსებული პირუტყვი სრულად იქნეს უზრუნველყოფილი სრულფასოვანი უხეში და წვნიანი საკვებით და შემცირდეს მარცვლეულის ხარჯვა საფურაჟე მიზნებისათვის, სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტებისა და მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის „საკსახსოფლტექნიკის“, პარტიის სამხარეო, საოლქო და რაიონული კომიტეტების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამხარეო, საოლქო და რაიონული აღმასკომების, პარტიული ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღველთა ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიაჩნიათ: მიაღწიონ 1980 წელს თივის, სილოსის, სენაჟის, საკვები ძირხვენებისა და სხვა საკვების წარმოების მნიშვნელოვან ზრდას და ხარისხის გაუმჯობესებას.

დადგენილებით 1980 წლისათვის რესპუბლიკების მიხედვით დაწესებულია კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში უხეში და წვნიანი საკვების დამზადების მოცულობანი.

მიღებულია მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს წინადადება, რომ 1980 წელს მნიშვნელოვნად გაფართოვდეს საკვები კულტურების განმეორებითი თესვა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „საკსახსოფლტექნიკას“ დაევალათ მოაწყონ 1980 წელს საკვები კულტურების რწყვა მილოონ ჰექტარ ურწყავ მიწებზე (მოძრავი საირიგაციო მოწყობილობის გამოყენებით). ამ მიზნით 1980 წელს სოფლის მეურნეობის საჭიროებებისათვის დამატებით გამოყოფილია დასაწვიმი მანქანები და საჭირო მოწყობილობა.

დადგენილია, რომ ურწყავი მიწების სარწყავად განკუთვნილი საირიგაციო მოწყობილობის შეძენისა და ამ მოწყობილობის დამონტაჟების სამუშაოთა შესრულების ხარჯები კოლმეურნეობებში დაფინანსდება საკუთარი სახსრებისა და სსრ კავშირის სახბანკის კრედიტების ხარჯზე, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში — სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებების ხარჯზე.

მთელ რიგ სამრეწველო სამინისტროებს დაევალათ დაამზადონ და 1980 წელს დამატებით მიაწოდონ სოფლის მეურნეობას მოძრავი სარწყავი ტექნიკის 1600 კილომეტრის სიგრძის ალუმინის მილსადენები.

სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ 1980 წელს:

წყალსამეურნეო საპროექტო ორგანიზაციების ძალებით — სარწყავად ვარგისი მიწების შერჩევა და რწყვის ორგანიზაციის გამარტივებული ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება;

გუბურების და წყალსატევების, ჭაბურღილების, შახტის ჭებისა და წყალსაღები ნაგებობების უპირატესი მშენებლობა, შეკეთება და აღდგენა — გეგმით დაწესებულ სამუშაოთა მოცულობის ფარგლებში.

სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს დაევალა 1980 წლიდან შემოღოს მორწყული ურწყავი მიწების გამოყენების სტატისტიკური ანგარიშგება, ხოლო სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება მიეცა ორგანიზაცია გაუწიოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მორწყულ ურწყავ მიწებზე საკვების წარმოების ცალცალკე აღრიცხვას.

სსრ კავშირის „საკსახსოფლტექნიკას“, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ 1980 წელს, რომ:

დროულად მომზადდეს სამუშაოდ მეურნეობებში არსებული მთელი დასაწვიმი მანქანები და სატუმბ-ძალური აგრეგატები, საკვების დასამზადებელი და გადასამუშავებელი მანქანა-მოწყობილობა;

გადიდდეს სოფლტექნიკის გაერთიანებათა ძალებითა და საშუალებებით აღნიშნული მანქანა-მოწყობილობის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების სამუშაოთა მოცულობა, აგრეთვე შეიქმნას სოფლტექნიკის რაიონულ გაერთიანებებში საამისოდ საჭირო კვანძების, აგრეგატებისა და მთლიანი კომპლექტური მონყობილობის საცვლელი, ფონდი.

სსრ კავშირის სახმომარაგებას და მიმწოდებელ სამინისტროებს დაევალათ უზრუნველყონ, რომ მიაწოდონ სოფლის მეურნეობას I-III კვარტალების ფონდების მიხედვით პოლიეთილენის აფსკი, თივასაწნეხი მავთული და კანაფი, ქაღალდის ტომრები 1980 წლის 1 სექტემბრამდე, ხოლო წლიური ფონდების მიხედვით — 1 ნოემბრამდე.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საჭიროებებისათვის (მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად) გამოიყოფა დამატებითი მასალა და მანქანა-მოწყობილობა. რუსეთის სფს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში დამზადდება კონსერვატების გადასაზიდ-შესანახი ტევადობანი.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ გაზარდონ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში ხელის თივაასაღები ინვენტარის წარმოება, რათა მთლიანად დაკმაყოფილდეს ინვენტარზე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების — სახელმწიფო სატყეო ფონდის მიწებზე თივის დამზადებისა და ხის ფოთლის ფხვნილის წარმოების დაგალებანი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1980 წელს ხელუხლებლად დატოვეს სილოსისა და სენაჟის მასის და სხვაგვარი საკვების გადაზიდვისათვის ავტომობილების მფლობელებთან ანგარიშსწორების წესი, აგრეთვე იმ ავტომობილის მძღოლთა, მუშა-მოსამსახურეთა, ტრაქტორისტ-მემანქანეთა და სხვა მექანიზატორთა შრომის ანაზღაურების წესი და პირობები, რომლებსაც საკვების დასამზადებლად გზავნიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან.

გზათა სამინისტროს დაევალა გადაზიდოს 1980 წლის 1 ოქტომბრიდან 1981 წლის 2 მაისამდე მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების განაცხადების საფუძველზე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის სხვა რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში დამზადებული უხეში საკვები მოქმედთან შეღებრებით 50 პროცენტით შემცირებული ტარიფის მიხედვით, ვაგონების უკმარდატვირთვისათვის ჯარიმის გადაუხდევინებლად, თუ ეს ვაგონები სრულად არის დატვირთული დაწნეხილი უხეში საკვებით მოცულობის მიხედვით.

საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დირექტორებს უფლება მიეცათ მოახმარონ 1980 წელს მუშათა პრემირებას წინა 5 წლის მანძილზე მიღწეულ საშუალო წლიურ დონესთან შედარებით საკვების წარმოების მოცულობის გადამტებებისათვის სახსრები იმ საკვების ღირებულების 30 პროცენტამდე ოდენობით, რომელიც დამზადებულია მისი წარმოების აღნიშნული დონის გადამტებით, იმ პირობით, თუ საკვები მაღალი ხარისხისაა.

საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დირექტორებს ნება დაერთოთ 1980 წელს დაუწესონ დამატებითი გასამრჯელო საკვები კულტურების თესვა-მოყვანის სამუშაოებზე დასაქმებულ მუშებს სამუშაოთა დროული და ხარისხოვანი შესრულებისათვის იმ ოდენობით, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებით არის გათვალისწინებული სათოხნი კულტურების თესვა-მოყვანის სამუშაოებისათვის.

საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დირექტორებს რჩება მიეცათ უფრო ფართოდ გამოიყენონ 1980 წელს საკვების დამზადების სამუშაოებზე მუშაობის საბოლოო შედეგებისათვის (ტონა დამზადებული თივის, სენაჟის, სილოსისა და სხვა საკვებისათვის) შრომის ანაზღაურების აკორდული სისტემა და უფრო მეტად მოახმარონ საკვებწარმოებში დასაქმებული მუშების ნახალისებას მატერიალური სტიმულირების ფონდის სახსრები.

1980 წელს თივის, სილოსის, სენაჟისა და სხვა საკვების დამზადების აკორდულ ფასდებს ემატება სამუშაოთა ხარისხოვანი და დროული შესრულებისათვის დამატებითი გასამრჯელოსა და გადიდებული ანაზღაურების თანხა მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებისათვის გათვალისწინებული ოდენობით, იმ პირობით, თუ დამზადებულია პირველი და მეორე კლასის საკვები.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტს წინადადება მიეცათ შეიმუშაონ საკვების დამზადებაზე დასაქმებულ მუშათა შრომის ანაზღაურების რეკომენდაციები, ამასთან გაითვალისწინონ სამუშაოთა ხარისხოვანი და დროული შესრულებისათვის დამატებითი გასამრჯელოსა და მოსავლის აღებაზე გადიდებული ანაზღაურების ოდენობის დიფერენცირება დამზადებული საკვების ხარისხის (კლასის) კვალობაზე.

საჭიროდ არის მიჩნეული შემოღებულ იქნეს 1980 წელს საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა დამატებითი პრემირება საკვების წარმოების გადიდებისათვის. პრემია გაიცემა წინა 5 წლის მანძილზე მიღწეულ საშუალო წლიურ დონესთან შედარებით საკვების წარმოების მიღებული თითოეულ პროცენტზე თანამდებობრივი სარგოების მიხედვით წლიური ხელფასის 2 პროცენტამდე ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს ორი თვის თანამდებობრივი სარგოსა წელიწადში ერთ მუშაკზე. ამასთან მაქსიმალური რაოდენობის პრემიები გაიცემა მაღალი ხარისხის საკვების დამზადებისათვის.

დადგენილია, რომ 1980 წელს საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა სრული ოდენობით პრემირება წარმოებს იმ პირობით, თუ შესრულდება საკუთარი წარმოების საკვების დამზადების გეგმა, ხოლო საბჭოთა მეურნეობების ტრესტების, რაიაღმასკომების სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოების და სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა პრემირება — იმ პირობით, თუ შესრულდება აღნიშნული გეგმა მთლიანად საქვეუწყებო მეურნეობებში.

საკუთარი წარმოების საკვების დამზადების გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევაში საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების ტრესტების, რაიაღმასკომების სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოების და სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების ხელმძღვანელ მუშაკებსა და სპეციალისტებს პრემია ჩამოაკლდებათ დადგენილი წესით, მაგრამ არა უმეტეს 50 პროცენტის ოდენობით.

1980 წელს საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დირექტორებს ნებადართული აქვთ მისცენ (უფასოდ) დამატებითი გასამრჯელოს სახით თივის, ნამჯა-ჩალის აღებაზე, სილოსის, სენაჟის დამზადებაზე, ხელოვნურად წყალგაცლილი საკვების წარმოებაში დასაქმებულ მუშაკებს და მიჰყიდონ საგეგმო თვითღირებულების მიხედვით საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაკებს, რომლებსაც პირად საკუთრებაში ჰყავთ შინაური პირუტყვი — დამზადებული თივისა და სილოსის 10-მდე პროცენტი და ნამჯა-ჩალის 20-მდე პროცენტი.

საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, აგრეთვე საგაჟიო-სამეურნეო საწარმოების დირექტორებს მიენიჭათ უფლება მისცენ 50 პროცენტამდე თივა (უფასოდ) მუშაკებს, რომლებიც მანქანა-ტრაქტორების გამოსაყენებლად უვარგის მიწებზე ხელით თიბავენ და ამზადებენ თივას. უფასოდ გასაცემი თივის დამზადებაზე მუშაობის ანაზღაურება არ წარმოებს.

კოლმეურნეობებს რჩება მიეცათ გამოიყენონ მატერიალური დაინტერესების ღონისძიებანი, რომლებიც ამ დადგენილებით არის დაწესებული საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაკებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ გამოუყონ საბაზრო ფონდებიდან მსუბუქი ავტომობილები და მოტოციკლები კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, რათა მიჰყიდონ ისინი იმ ტრაქტორისტ-მემანქანეებს, ავტომობილის მძღოლებს, მუშებსა და სპეციალისტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საუკეთესო მაჩვენებლებს 1980 წელს მაღალხარისხოვანი საკვების დამზადებაში.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო, საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ, რომ უფრო ფართოდ განვითარდეს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, რომელიც ხელს შეუწყობს 1980 წელს საკვების წარმოებისა და დამზადების ზრდას.

● ●

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოთქვეს რწმენა, რომ პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, სამრეწველო და სამშენებლო ორგანიზაციები კვლავაც იხელმძღვანელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის იანვლისის პლენუმისა და 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით და მთელ ძალ-ღონეს მოახმარენ მეცხოველეობის საკვები ბაზის შემდგომი განმტკიცების ამოცანების წარმატებით შესრულებას, განახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს მაღალხარისხოვანი უხეში და წვნიანი საკვების წარმოებისა და დამზადების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეთა გამოაჩინა

თბილისის ავტომობილთა გაერთიანება „ქარხანენებიოლის“ მეთაური ქარხნის საამწყობო საამქროს კომუნისტური ბრიგადის ხელმძღვანელს რომან ორაგველიძეს დიდი ნდობა გამოუცხადდის — იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ირჩიეს.

ორაგველიძე [illegible] ულის [illegible] ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოვიდა საწარმოში და თავდადებული შრომითა და ამხანაგებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით მალე მიიპყრო ყურადღება. იგი დღეს თავისი საქმის უბადლო ოსტატი და ახალგაზრდობის შესანიშნავი დამრიგებელია. თავის ბრიგადასთან ერთად ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შრომითს ვახტზეა. ბრიგადამ დამატებითი ვალდებულება იკისრა და გადაწყვიტა დაზოგილი მასალებით ერთი ხრახნსაჭრელი „კომკავშირული“ ჩარხი დაამზადოს.

სურათებზე: რომან ორაგველიძე; ქვემოთ — ქარხნის მზა პროდუქცია სამღებრო საამქროში.

ჯ. აბრამიძის ფოტო.



ბრიგადირი ზრომითს ვახტზე დგას

კვარტალური გეგმა ვადამდე

როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იტყობინება, რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ვადამდე, 29 მარტს შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების იანვარ-მარტის გეგმა.

ძალაქ თბილისის სტატისტიკური სამმართველოს ცნობით რესპუბლიკის დედაქალაქის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ვადამდე, 29 მარტს შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების პირველი კვარტალის გეგმა.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

რესპუბლიკაში დიდი სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის შეღავათების თაობაზე კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ზ. ა. პატარიძის მოხსენება რესპუბლიკაში დიდი სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის შეღავათების თაობაზე კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ მათი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება სკკპ XXV ყრილობის მიერ შემუშავებული სოციალური პროგრამის შემადგენელი ნაწილია. რესპუბლიკაში ამ მიმართულებით პარტიის მიერ დასახული ამოცანების რეალიზაციისათვის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესასრულებლად დიდი მუშაობა მიმდინარეობს.

დიდი სამამულო ომის მონაწილეები, ინვალიდები და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახები რეალურად სარგებლობენ კანონმდებლობით დაწესებული სხვადასხვა უპირატესობებით — საპენსიო უზრუნველყოფით, შეღავათიანი კომუნალური გადასახადებით, სესხით ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის, სამედიცინო მომსახურებით, უფასო სანატორიულ-საკურორტო საგზურებით და ა. შ.

სამამულო ომის ინვალიდებს შორშან პენსიების სახით 26 მილიონ მანეთზე მეტი, ხოლო ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებს — 8,5 მილიონ მანეთზე მეტი მიეცათ. ეროვნული ფულადი დახმარების სახით ამავე პერიოდში გაიცა 170 ათასამდე მანეთი, უკანასკნელ 15 წელიწადში უფასოდ გაიცა 9 ათასამდე ერთეული სატრანსპორტო საშუალება, რომელთა საერთო ღირებულებამ 145 მილიონ მანეთს გადააჭარბა. მარტო 1979 წელს სამამულო ომის ინვალიდებს უფასოდ მიეცათ 5578 სანატორიულ-საკურორტო საგზური, ანუ 2900-ით მეტი, ვიდრე 1975 წელს.

გაუმჯობესდა სამამულო ომის ინვალიდების სამედიცინო მომსახურება. ქ. თბილისში აღდგენილია 120-საწოლიანი ჰოსპიტალი, ხოლო სამამულო ომის ინვალიდების სტაციონარული მკურნალობისათვის ქალაქებისა და რაიონების ცენტრალურ საავადმყოფოებში გამოყოფილია პალატები და საწოლები. ქალაქებში თბილისში, ბათუმში, სოხუმსა და ზუგდიდში გაიხსნა სპეციალური აფთიაქები, ხოლო რუსთავში, გორსა და თელავში ცენტრალურ აფთიაქებთან შეიქმნა სპეციალური განყოფილებები; უკეთ წარმოებს მათი საპროთეზო-ორთოპედიული ნაკეთობებით უზრუნველყოფა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების საბინაო-კომუნალური პირობების გაუმჯობესებას.

ასევე დადებითი ძვრებია მიღწეული დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და ინვალიდთა სავაჭრო მომსახურებაში. მათთვის ქალაქებში თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ქუთაისსა და რუსთავში გახსნილია სამრეწველო და სასურსათო საქონლის მაღაზიები, ხოლო თბილისში — ავტომობილების სათადარიგო ნაწილების სპეციალიზებული მაღაზია.

დიდი სამამულო ომის მონაწილეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად დამატებითი ღონისძიებების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 21 თებერვლის დადგენილებით ამ კატეგორიის პირებს გაუდიდდებათ პენსიები და მათზე დამატებით გავრცელდება მატერიალურ-საყოფაცხოვრებო შეღავათები.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა, რომლებიც პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით, დეპუტატების, მუდმივი კომისიების, ფართო საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობით და ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის სხვადასხვა ფორმების გამოყენებით ამ ბოლო წლებში უფრო მეტი ყურადღებით ეკიდებიან დიდი სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური უზრუნველყოფის და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხების გადაწყვეტას.

ამასთან ერთად, დიდი სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობის შესრულებაში კვლავ ბევრი გადაუჭრელი პრობლემა და სერიოზული ნაკლოვანებებია.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ მთლიანად არ სრულდება კანონმდებლობის მოთხოვნა ომის ინვალიდებისათვის მუშაობის საჭირო პირობების შექმნის შესახებ; მათთვის ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია, არ ქმნიან სპეციალურ საამქროებს, განყოფილებებს, არ აწესებენ არასრულ სამუშაო დღეს; მეტწილ საწარმოებში არ იცავენ ინვალიდთა სამუშაოზე მიღებისათვის ორპროცენტიანი ჯავშნის გამოყოფის წესს; ნელი ტემპით მიმდინარეობს შინ მუშაობაში ინვალიდების დასაქმება.

ზოგიერთი რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი სათანადო ზომებს არ იღებს ომის ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად, რის გამოც ამჟამად ბინის მიღების რიგშია სამამულო ომის 863 ინვალიდი და ომში დაღუპულ მეომართა 1344 ოჯახი.

მთელი რიგი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა გულგრილობისა და ზოგიერთი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სუსტი კონტროლის შედეგად სამამულო ომის ინვალიდები და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახები არ სარგებლობენ კანონმდებლობით გათვალისწინებული ისეთი შეღავათებით, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო და საშემოსავლო გადასახადებისაგან განთავისუფლება, ტრანსპორტით უფასოდ ან 50 პროცენტის ფასდაკლებით მგზავრობა, შემცირებული საბინაო-კომუნალური გადასახადები, ტელეფონის პირველ რიგში ან უპირატესი უფლებით დადგმა, ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის უპროცენტო სესხისა და საშენი მასალების პირველ რიგში გამოყოფა, სათბობის 50 პროცენტის ფასდაკლებით მიყიდვა და სხვ. რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები პერიოდულად არ ამოწმებენ სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის შეღავათების შესახებ კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობის მათი დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მიერ.

სახალხო დეპუტატთა ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი სათანადო ღონისძიებებს არ ახორციელებს სამამულო ომის ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლისა და საჭიროების შემთხვევაში მათი გაუმჯობესებისათვის, არ აწესებს შეფობას ინვალიდებსა და ომში დაღუპულ მეომართა იმ ოჯახებზე, რომლებსაც ეს ესაჭიროებათ, არ ითხოვს შეფი ორგანიზაციებისაგან ანგარიშებს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, ამიტომაც შეფობა ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ჯერ კიდევ შეინიშნება ნაკლოვანებები სამამულო ომის ინვალიდთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების საქმეში. ცალკეულ რაიონებში სათანადო ყურადღება არ ექცევა ომის ინვალიდთა დისპანსერიზაციისა და მკურნალობას, დაბალია სამედიცინო შემოწმების ხარისხი. შემოწმებაში ყოველთვის არ მონაწილეობენ სათანადო დარგის ექიმი-სპეციალისტები. ნაკლოვანებებია ომის ინვალიდთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის საქმეში.

კვლავაც ჯეროვნად არ არის გადაწყვეტილი საკითხი სამამულო ომის ინვალიდთა ხელით სამარ-

(დასასრული მე-2 გვ.)

სემინარ-ლექტორიუმის მეცადინეობა

29 მარტს მორიგი მეცადინეობა გამართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსისტულ-ლენინური თეორიის და კომუნისტური მშენებლობის აქტუალურ პრობლემათა სემინარ-ლექტორიუმმა, რომელსაც ხელმძღვანელობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე.

მეცადინეობაზე საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრმა გ. ვ. რობერტაშვილმა გააკეთა მოხსენება „საქართველოს საავტომობილო გზების მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ“.

სემინარ-ლექტორიუმის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის უფროსი ნ. ი. მაკაროვი.

მეცადინეობის შედეგები შეაჯამ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

(დასასრული)

თავი ავტომანქანებისა და მოტოციკლების შეკეთებისა და მათი სათადარიგო ნაწილებით მომარაგების შესახებ, არ მოქმედებენ ავტოტექმომსახურების სპეციალური მოძრავი სახელოსნოები, რის გამოც ხშირად დაუშვებლად ჭიანურდება ომის ინვალიდთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების რემონტი.

სამამულო ომის ინვალიდებისა და მონაწილეთა საპენსიო უზრუნველყოფის საქმეში აღმოფხვრილი არ არის შეცდომები და უზუსტობანი; შეინიშნება კავშირგაბმულობის საწარმოების მიერ სამამულო ომის ინვალიდებისათვის პენსიების დაგვიანებით გაცემის შემთხვევები.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, ხელმძღვანელობს რა XXV ყრილობის მითითებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებასა და გამოსვლებში მოცემული დებულებებითა და დასკვნებით, სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობის განუხრელად განხორციელების საქმეში არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით **ადგენს:**

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა:

— შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომ გაუმჯობესებას;

— სისტემატურად შეისწავლონ ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობის განხორციელების მდგომარეობა, გააქტიურონ ამ მიმართულებით მუდმივი კომისიებისა და დეპუტატების საქმიანობა; გაძლიერონ საშეფო დახმარება ომის ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის;

— განახორციელონ გადამწყვეტი ღონისძიებანი ომის მონაწილეთა და ინვალიდთა შრომის პირობებისა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის; ომის ინვალიდთა შრომაში ფართოდ ჩაბმის მიზნით უზრუნველყონ, სადაც ეს შესაძლებელია, სპეციალური საამქროებისა და განყოფილებების გახსნა, არასრული საშუშაო დღისა და არასრული სამუშაო კვირის, შინ მუშაობის დანერგვა;

— ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების წევრთა კანონიერი მოთხოვნების დროული შესრულებისათვის, მათი წერილებისა და განცხადებების გულდასმით განხილვისაფვის პერსონალური პასუხისმგებლობა დააკისრონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს;

— უზრუნველყონ სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების უპირატესი დაკმაყოფილება საცხოვრებელი ფართობით და ხელი შეუწყონ მათ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში.

2. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ და საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მომსახურების გასაუმჯობესებლად.

3. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ:

— უზრუნველყონ სამამულო ომის ინვალიდებისათვის 50 პროცენტის ფასდაკლებით სათბობის დროულად მიწოდება;

— შეუფერხებლად გამოუყონ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს საშენი მასალები სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის.

4. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, სხვა სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა სათანადო დახმარება გაუწიონ სოფლად მცხოვრებ სამამულო ომის მონაწილეებს, ინვალიდებსა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებს საკარმიდამო მიწის ნაკვეთების მოვლა-დამუშავებასა და პირუტყვისათვის საკვების გამოყოფაში, საცხოვრებელი სახლებისა და ბინების შეკეთებაში.

5. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გადაჭრით გააუმჯობესოს სამამულო ომის მონაწილეებისა და ინვალიდების სამედიცინო მომსახურება, მედიკამენტებითა და საპროთეზო-ორთოპედიული ნაკეთობებით მათი უზრუნველყოფა და დისპანსერული მეთვალყურეობა.

6. საქართველოს რესპუბლიკურმა სპეციალიზებულმა სამმართველომ „ავტოტექმომსახურებამ“ უზრუნველყოს სამამულო ომის ინვალიდების ხელით სამართავი ავტომანქანებისა და მოტოციკლების შეკეთებისა და მათი სათადარიგო ნაწილებით მომარაგების ორგანიზაციის ძირეული გაუმჯობესება.

7. საქართველოს პროფსაბჭომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ომის მონაწილეებისა და ინვალიდების შრომის პირობების დაცვას, იზრუნოს მათი სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისა და სანატორიულ-საკურორტო საგზურებით მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის.

8. საქართველოს ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა გააძლიეროს ახალგაზრდობის, მოსწავლეებისა და სტუდენტების სამხედრო-პატრიოტული აღზრდა უფროსი თაობის საბრძოლო გმირობის მაგალითებზე, ფართოდ გაშალოს ორგანიზატორული მუშაობა საბრძოლო დიდების მუზეუმებისა და კაბინეტების საქმიანობის სრულყოფისათვის და ომში დაღუპულ მეომართა მემორიალების მოვლა-პატრონობის საქმეში ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

9. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკის შემოქმედებითმა კავშირებმა ხელი შეუწყონ სამამულო ომისა და პატრიოტული აღზრდის თემაზე ახალი ნაწარმოებების შექმნას, რომლებშიც ასახული იქნება მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის უმაგალითო გმირობა, საქართველოს მშრომელების თავდადებული ბრძოლა სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

10. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკური, სოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებმა სისტემატურად მოაწყონ გადაცემები და გამოაქვეყნონ მასალები სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობის შესრულების საკითხებზე.

11. საქართველოს სსრ პროკურატურამ გააძლიეროს ზედამხედველობა სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის შეღავათების შესახებ კანონმდებლობის განუხრელად შესრულებაზე.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სისტემატურად განიხილოს სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის შეღავათების თაობაზე კანონმდებლობის შესრულების საკითხები, პერიოდულად მოისმინოს რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ინფორმაციები.

● ●

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა აღგილობრივი საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები, სახელმწიფო მმართველობის ორგანოები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გმირობის აღმოსაჩენად, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების ეროვნული მადლიერებისა და ყურადღების ნიშნად, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის ყველაფერს გააკეთებენ.

3. საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ტრანსპორტის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ავტომობილთა ტრანსპორტის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ავტომობილთა გზათა სამინისტრომ, საქართველოს სსრ ტყეთმცოდნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ტყეთსარგებლობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ტყეთმრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ტყეთმოქმედების სამინისტრომ, საქართველოს სსრ ტყეთმცველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ტყეთმოსარგებლეთა ასოციაციამ, ადგილობრივ საბჭოებთან ერთად, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებისა და ინვალიდთა სანატორიუმ-პანსიონებისა და ტურისტული ბაზების ტერიტორიებზე ეზოებისა, ბაღებისა, ბულვარებისა, ტბორებისა, ბუნებრივ ტბებისა, ბუნებრივ ნაკადულებისა, ბუნებრივ ფონტანებისა, ბუნებრივ ბალახოვანი ფენებისა, ბუნებრივ ბალახოვანი ფენებიანი ფერდობებისა, ბუნებრივ ბალახოვანი ფენებიანი ფერდობებიანი ადგილებისა, ბუნებრივ ბალახოვანი ფენებიანი ფერდობებიანი ადგილებიანი ბაღებისა, ბუნებრივ ბალახოვანი ფენებიანი ფერდობებიანი ადგილებიანი ბაღებიანი ბალებისა, ბუნებრივ ბალახოვანი ფენებიანი ფერდობებიანი ადგილებიანი ბაღებიანი ბალებიანი ეზოებისა, ბუნებრივ ბალახოვანი ფენებიანი ფერდობებიანი ადგილებიანი ბაღებიანი ბალებიანი ეზოებიანი ბინებისა, ბუნებრივ ბალახოვანი ფენებიანი ფერდობებიანი ადგილებიანი ბაღებიანი ბალებიანი ეზოებიანი ბინებიანი ადგილებისა, ბუნებრივ ბალახოვანი ფენებიანი ფერდობებიანი ადგილებიანი ბაღებიანი ბალებიანი ეზოებიანი ბინებიანი ადგილებიანი ბინებისა, ბუნებრივ ბალახოვანი ფენებიანი ფერდობებიანი ადგილებიანი ბაღებიანი ბალებიანი ეზოებიანი ბინებიანი ადგილებიანი ბინებიანი ბინებისა, ბუნებრივ ბალახოვანი ფენებიანი ფერდობებიანი ადგილებიანი ბაღებიანი ბალებიანი ეზოებიანი ბინებიანი ადგილებიანი ბინებიანი ბინებიანი ბინებისა, ბუნებრივ ბალახოვანი ფენებიანი ფერდობებიანი ადგილებიანი ბაღებიანი ბალებიანი ეზოებიანი ბინებიანი ადგილებიანი ბინებიანი ბინებიანი ბინებიანი ბინებისა, ბუნებრივ ბალახოვანი ფენებიანი ფერდობებიანი ადგილებიანი ბაღებიანი ბალებიანი ეზოებიანი ბინებიანი ადგილებიანი ბინებიანი ბინებიანი ბინებიანი ბინებიანი ბინებისა, ბუნებრივ ბალახოვანი ფენებიანი ფერდობებიანი ადგილებიანი ბაღებიანი ბალებიანი ეზოებიანი ბინებიანი ადგილებიანი ბინებიანი ბინებიანი ბინებიანი ბინებიანი ბინებიანი ბინებისა, ბუნებრივ ბალახოვანი ფენებიანი ფერდობებიანი ადგილებიანი ბაღებიანი ბალებიანი ეზოებიანი ბინებიანი ადგილებიანი ბინებიანი ბინებიანი ბინებიანი ბინებიანი ბინებიანი ბინებიანი ბინებისა, ბუნებრივ ბალახოვანი ფენებიანი ფერდობებიანი ადგილებიანი ბაღებიანი ბალებიანი ეზოებიანი ბინებიანი ადგილებიანი ბინებიანი ბინებიანი ბინებიანი ბინებიანი ბინებიანი ბინებიანი ბინებიანი ბინებისა, ბუნებრივ ბალახოვანი ფენებიანი ფერდობებიანი ადგილებიანი ბაღებიანი ბალებიანი ეზოებიანი ბინებიანი ადგილებიანი ბინებიანი ბინებიანი ბინებიანი ბინებიანი ბინებიანი ბინებიანი ბინებიანი ბინებიანი ბინებისა, ბუნებრივ ბალახოვანი ფენებიანი ფერდობებიანი ადგილებიანი ბაღებიანი ბალებიანი ეზოებიანი ბინებიანი ადგილებიანი ბინ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შექმნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

შეიქმნას საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე

მელქაძე ოთარ ვალერიანის ძე.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

მარგალითაძე დმიტრი ერმილეს ძე.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

თავზარაშვილი ვალენტინ გრიგოლის ძე.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის წევრები

დავითაშვილი მიხეილ დანიელის ძე — გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორი.

კაპბა ენვერ ერასტის ძე — საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი.

მოსესოვი დმიტრი ნიკოლოზის ძე — თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატი.

რეშეზოვი ნადეჟდა ივანეს ასული — საგარეჯოს რაიონის სოფელ კრასნოგორსკის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.

ფოფხაძე ნუგზარ აკაკის ძე — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

ჭილტაური შალვა ლევანის ძე — დოცენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

ხუციშვილი ილია ივანეს ძე — საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

ჯანჯღავა ვარლამ სოსრამის ძე — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის თბილისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 28 მარტი.

● ●

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

კარანაძე აკაკი გრიგოლის ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები

ედიშერაშვილი ვალერიან ალექსანდრეს ძე.
ლორია დურმიშხან ანთიმოზის ძე.
დევდარიანი გრიგოლო გრიგორის ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები

ბებია ორდე სარდიონის ძე.
ბეჟანოვა ლეილა მზეჭაბუკის ასული.
ბლიაძე გოდერძი ვლადიმერის ძე.
ბოჭორიშვილი ლუნგერ აბბროსის ძე.
გველესიანი ოთარ ალექსანდრეს ძე.
გელუკაშვილი ლილი გიორგის ასული.
გერსამია თეიმურაზ ვალერიანის ძე.
გოგილაშვილი ივანე ზაქარიას ძე.
დოლიძე მირზა ამირანის ძე.
ეზვაია გიგი იროდიონის ძე.
ვალიევი ხაჯიმურატ დმიტრის ძე.
ილინი სერგო ვლადიმერის ძე.
ისაკაძე ლამარა პარმენის ასული.
კაბეკია ოთარ იაკობის ძე.
კობერიძე ნელი ვასილის ასული.
ლუკოვკინი ვლადიმერ სერგოს ძე.
მახარაძე დმიტრი ფილიპეს ძე.
პიტავა რუსუდან ვასილის ასული.
ჟორდანია ივანე შალვას ძე.
საყვარელიძე ლეონიდე მიხეილის ძე.
სარჭისოვა ელენე რუბენის ასული.
სულავა ავთანდილ დომენტის ძე.
ფორდა შევცოვა ლამარა პროკოფის ასული.
ქარსელაძე მზექალა ბეწინიკას ასული.
ქრისტესიაშვილი ივანე ნიკოლოზის ძე.
ლუღუნაშვილი ალექსანდრე არსენის ძე.
ყიფიანი ჯიმი კონსტანტინეს ძე.
ცირამუა გივი სტეფანეს ძე.
ცისკარიშვილი ჯემალ შალვას ძე.
წიქორიძე ნოე ალექსის ძე.
წოკლაური ვაჟა ივანეს ძე.
ხითარიშვილი ევგენი პავლეს ძე.
ხმალაძე რამაზ ვასილის ძე.
ხონიაკინა ადელინა ივანეს ასული.
ხუციშვილი ნორა გრიგოლის ასული.
ჯიბლაძე ოთარ ალექსანდრეს ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 28 მარტი.

● ●

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი წევრის განთავისუფლებისა და დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1980 წლის 17 იანვრისა — „ამხ. გ. ნ. ჯიბლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ“;

1980 წლის 17 იანვრისა — „ამხ. ფ. ი. ჩხეიძვილის საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრად დანიშვნის შესახებ“;

1980 წლის 22 თებერვლისა — „ამხ. ზ. ბ. გელდიაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ“;

1980 წლის 22 თებერვლისა — „ამხ. ო. გ. ვარძელაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ“;

1980 წლის 26 მარტისა — „ამხ. კ. ს. ციმაკურიძის საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ“;

1980 წლის 26 მარტისა — „ამხ. მ. ა. მეგრელიშვილის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 28 მარტი.

● ●

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი წევრის განთავისუფლებისა და დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1980 წლის 17 იანვრისა — „ამხ. გ. ნ. ჯიბლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ“;

1980 წლის 17 იანვრისა — „ამხ. ფ. ი. ჩხეიძვილის საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრად დანიშვნის შესახებ“;

1980 წლის 22 თებერვლისა — „ამხ. ზ. ბ. გელდიაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ“;

1980 წლის 22 თებერვლისა — „ამხ. ო. გ. ვარძელაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ“;

1980 წლის 26 მარტისა — „ამხ. კ. ს. ციმაკურიძის საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ“;

1980 წლის 26 მარტისა — „ამხ. მ. ა. მეგრელიშვილის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 28 მარტი.

„საქართველოს კომუნისტი“ № 3

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის“ მორიგი, მესამე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საარჩევნო კრებაზე 1980 წლის 22 თებერვალს — ჩვენი კურსია მშვიდობიანი აღმშენებლობა. აქვეა გამოქვეყნებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება — ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის 1980 წლის 22 თებერვლის საარჩევნო სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების განხორციელების ორგანიზაციული და ორგანიზაციულ-ეკონომიკური ღონისძიებანი.

ამავე ნომერში გამოქვეყნებულია საინფორმაციო ცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ.

ჟურნალში დაბეჭდილია სკკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა — კინოხელოვნების ახალი აღმავლობისათვის, რომელიც მან წარმოთქვა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობისა და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სამხატვრო საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე.

დიდი პარტიული საქმე და მოვალეობა — ამ სათაურით დაბეჭდილია მოწინავე წერილი.

„საქართველოს კომუნისტი“ № 3
გამოვიდა

დიდი შემოქმედების გზით

რეჟისორის

მოქალაქეობრივი

პოზიცია



დიმიტრი ალექსიძე. მუდამ მშფოთვარე და მოუსვენარი, მოდამ ახალი აზრისა და ფორმის მაძიებელი ხელოვანია. ასე დაიწყო მისი გზა და ასეთად წარმოგვიდგება იგი დღესაც. (თუმცა ახლა უშუალო შემოქმედებითი, ცხოვრების „სიმძლიმის ცენტრი“ თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტის თანამდებობისაკენ გადაიბარა). ალექსიძეს დიდი ამაგი მოუძღვის პედაგოგიური მოღვაწეობის სფეროშიც, მისი მოწაფეები დღეს არსებით როლს ასრულებენ ქართულ თეატრში. ძნელია კატეგორიულად ამტკიცო, რა უფრო მნიშვნელოვანია — კარგი სპექტაკლის დადგმა თუ ახალგაზრდა შემოქმედის ნიჭიერების მოკვლევა და აღზრდა. ალბათ ერთიცა და მეორეც. ორმაგად დიდია დ. ალექსიძის მიღწევები ამ მხრივ.

...კომედიის ჟანრით დაიწყო დ. ალექსიძის შემოქმედებითი გზა რუსთაველის თეატრში. რუსთაველელებს კი ტრაგიკული კოლიზიები უფრო ხიბლავდა, ვიდრე კომედიური სიტუაციები, მაგრამ „სასტუმროს დიასახლისმა“ თითქოს რაღაც ახალი, უფრო მივიწყებული ტენდენცია შეახსენა აუდიტორიას, კვლავ აგრძნობინა, რომ რუსთაველის თეატრის მხატვრული მეთოდი როდი გამორიცხავს კომედიას, ფართოა თეატრის შემოქმედებითი გზა და იგი მრავალი შენაკადით მდიდრდება.

კლასიკური კომედია შეცვალა თანამედროვე ჰეროიკულმა დრამამ — გ. მდივნის „ალკაზარმა“. დრამა და კომედია დიდხანს ენაცვლებოდა ერთმანეთს დ. ალექსიძის რეპერტუარში, მაგრამ იმხანად მისი კომედიური სპექტაკლები უფრო ბრწყინვადა და დ. ალექსიძე კომედიების რეჟისორად იქნა აღიარებული. დ. ალექსიძემ „სასტუმროს დიასახლისით“ გზა გაუხსნა ბათუმის თეატრის პირველ პროფესიონალ მსახიობებს, ხოლო „ალკაზარით“ ქართველი კაცის სიყვარული და ჰუმანიზმი გამოხატა ესპანეთისადმი.

დრამისა და კომედიის მუდმივი მონაცვლეობით მდიდრდებოდა დ. ალექსიძის რეპერტუარი.

1940 წელს ისევ კომედია დადგა. არჩევანი ს. კლდიაშვილის „გრაფის ქვრივზე“ შეაჩერა. პიესის თემა აქტუალურად ჟღერდა. „ახალგაზრდა მსახიობთა ზრდამ, რაც ამ სპექტაკლმა ცხადყო, გვიჩვენა, თუ როგორ სწორ და ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას ეწევა დ. ალექსიძე“. („კომუნისტი“).

სპექტაკლში გამოჩნდა ალექსიძისეული მკვეთრი და ლამაზი მიზანსცენები, გონებამახვილური და პლასტიკური ნახაზები, იმპროვიზაციები. რეჟისორი ომის მრისხანე წლებს ვ. ვოლფის „პროფესორ მამლოკით“ გამოეხმაურა. ფაშისტური ტირანიისადმი გულისწყრომა, რეჟისორმა სპექტაკლის დადგმაშიც გამოხატა. „პროფესორი მამლოკი“ ემოციურად ძლიერი ზემოქმედების სპექტაკლი იყო. ამას მოჰყვა ისევ კომედიები — ლოპე დე ვეგას „სხვისთვის სულელი“ და ჯ. გოლდონის „სპატარძლო ფიშთან“. იმ დროს დ. ალექსიძე არსებითად ერთადერთი რეჟისორი იყო რუსთაველის თეატრში, რომელიც ასე გატაცებით მუშაობდა კომედიის ჟანრში.

1945-1950 წლებში ალექსიძე მხოლოდ დრამებს დგამდა. იგი თავისი შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში დრამატულმა ჟანრმა გაიტაცა. ი. მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი“ და ვ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი“, ა. დიუსოს და ჯ. გოუს „ღრმა ფესვები“, მ. მრეველიშვილის „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, კ. სიმონოვის „სხვისი ჩრდილი“ და ბ. ლავრენევის „ამერიკის ხმა“ მრავალმხრივ საინტერესო სპექტაკლები იყო, მათ მოჰყვა გ. სუნდუკიანის „პეპო“.

დ. ალექსიძის სპექტაკლებიდან დიდი წარმატება ხვდა „დონ სეზარ დე ბაზანს“, „ნ. ბარათაშვილს“, „პირველ ნაბიჯს“. გამარჯვებულმა რეჟისორმა 1955 წელს დადგა „გლახის ნაამბობი“.

...თეატრში გრძელდებოდა თამბათა პოლემიკა, რომლის ობიექტი ხშირად გამხდარა დ. ალექსიძის სპექტაკლები. ამ მხრივაც მნიშვნელოვანი იყო ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობის“ დადგმა. შეიქმნა დიდი რეალისტური, ღრმა ფსიქოლოგიური სახე — ვასაძის პეპია, რომელსაც პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა.

1956 წელს დ. ალექსიძემ „ოიდიპოს მეფე“ დადგა და საზოგადოებამაც სრულიად ახალი სახით იხილა ეგრეთ წოდებული „კომედიის რეჟისორი“. ეს იყო თვისებრივად ახალი, განსხვავებული მსმენტალის სპექტაკლი, რომელიც გვაოცებდა თავისი მონუმენტურობითა და ანტიკური სიდიადით. დიდმა შემოქმედებითმა სტატიამ ამოხეთქა თეატრის სცენაზე, მწვერვალივით აღიმართა რუსთაველის თეატრის ისტორიაში და მხარში ამოუდგა ოიდიპოსის სამი შემსრულებელი (აკ. ხორავა, ს. ზაქარიაძე, ე. მანჯგალაძე) „დიტია“ სპექტაკლის რეჟისორულმა გააზრებამ. ყოველმა მათგანმა თავისი დამოუკიდებელი სახე იპოვა. „ამ მხრივ „ოიდიპოს მეფეში“ რუსთაველის თეატრმა მიაღწია იმას, რასაც ჯერჯერობით ვერც ერთმა თეატრმა ვერ მიაღწია საბჭოთა ქვეყნიერზე“, — წერდა ს. მოკულსკი ვაზ. „პრავდაში“. მისივე აზრით, „მკაფიო პოეტურობა და რომანტიკული ზეაწეულობა, რაც რუსთაველის თეატრისთვისაა დამახასიათებელი, კი არ გამორიცხავს სიმართლეს, გულწრფელობასა და ადამიანობას, არამედ ორგანულადაა მასთან შერწყმული... ალექსიძის დადგმის უპრეცედენტო წარმატებამ, — განაგრძობს ს. მოკულსკი, — საბჭოთა სცენას დუბრუნა ანტიკური ტრაგედია, ნათლად დაგვანახა მისი განუზომელი მხატვრული ღირებულება, გვიჩვენა, თუ რა დიდი ესთეტიკური სიამოვნების მინიჭება შეუძლია ადამიანისათვის“.

დ. ალექსიძემ ახალი სიცოცხლე მიანიჭა სოფოკლეს მეორე დიდ ტრაგედიასაც „ანტიგონე“.

„ოიდიპოსი“, „ბორის გოდუნოვი“, „ჰამლეტი“ — ეს უკვე რეჟისორის აშკარა პრინციპული პოზიცია იყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ სპექტაკლების ხარისხი ერთობ განსხვავდებოდა, ალექსიძეს მაინც ხელი არ აუღია თავის მხატვრულ პრინციპებზე და აი, ისევ რისკიანი ნაბიჯი გადადგა — დ. გაჩეჩილაძის „მახტრიოშკა“ გააორმაგა „ოიდიპოსში“ მიღწეული ემოციურობა და ფსიქოლოგიურის „თანაარსებობის“ პრინციპი. რეალისტურ მეთოდს მარჯვედ მიესადაგა რომანტიკული ნაკადი. იგი გამდიდრდა ფაქიზი ლირიზმით და კიდევ უფრო მრავალპლანიანი გახდა წარმოდგენა, ემოციურ გამძაფრებაში, მაღალ პატრიოტულ შემართებაში მთელი ძალით გაკოცხლდა ისტორია. სახალხო ტრაგედია დატრიალდა სცენაზე. გამოჩნდა ხალხის გაუტეხელი სული, მისი ნებისყოფის ძალა და რაინდული გონე“, „ურიელ აკოსტა“, „ოტელო“, „ხსოვნა გულისა“, „სპპატარძლო აფიშით“ უკრაინული თეატრის ისტორიის კუთვნილები „ბახტრიონში“ „ბალდა, მათ ახალი ცხოვრებისმყოფელი ნაკადი შეიტანეს თეატრის ცხოვრებაში. „უკრაინის პერიოდის“ შეჯამება იყო რეჟისორისათვის უკრაინის სახალხო არტისტისა და ტ. შევჩენკოს სახელობის პრემიის ლაურეატის წოდებათა მინიჭება. ალექსიძემ უკრაინის თეატრში არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა წარმოაჩინა.

უკრაინიდან დაბრუნების შემდეგ დ. ალექსიძე სათავეში ჩაუდგა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრს; მისთვის ეს ერთობ რთული პერიოდი იყო. სირთულეს ქმნიდა არა მარტო თეატრის მაშინდელი შემოქმედებითი ცხოვრების ხასიათი, არამედ თვით ხელოვანის განსხვავებული ხელწერაც. საგანგებოდ ფრდი აღინიშნოს ალექსიძის სპექტაკლები: ა. ჭორნეიჩუკის „ხსოვნა გულისა“ და მ. ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“, ნ. გოგოლის „ქორწინება“. ეს წარმოდგენები გამორჩეულად რეალისტური სისადავით, ფსიქოლოგიური სიღრმით, პოეტური განწყობილებათა სიმდიდრით.

ხელოვანი სპექტაკლებს დგამს მოსკოვში, ლენინგრადში, ტაშკენტში, ერევანში, ქმნის „მეგობრობის თეატრს“. ეს ფართო მასშტაბის მოღვაწეობაა.

თავის საიუბილეო წელს დ. ალექსიძემ დედაქალაქის საოპერო თეატრში დადგა ვერდის „ოტელო“. კვლავ გამოჩნდა ალექსიძისეული მიზანსცენები, დინამიკური მოქმედება, ნათელი ფორმები.

ქართული საბჭოთა თეატრის ისტორია განუყოფელად არის დაკავშირებული დ. ალექსიძის სახელთან. მისი შთამაგონებელი ხელოვნება ხალხის საკუთრებად იქცა. ხალხმა კი იცის თავისი მამულშვილის ღვაწლისა და ამაგის დაფასება.

ვასილ კიკნაძე.

მადლი მისი ნიჭისა

მოგონების

რამდენიმე

ფურცელი

დოდო ალექსიძეს მისი რეჟისორული და პედაგოგიური მოღვაწეობის პირველსავე წლებში შევხვდი. ეს იყო 1936 წელს, როცა გამოცდებს ვაბარებდი სამსონ სულკაურის თაოსნობით ახლად დაარსებულ კინოსამსახიობო სტუდიაში.

მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჩამოვიდა დ. ალექსიძე თბილისში და მაშინვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება რეჟისორული ინდივიდუალობის თავისებურებით. მან ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წითელი არმიის თეატრში დადგა კუპრინის მოთხრობების მიხედვით „ბატონი ოფიცრები“, რუსთაველის თეატრთან არსებულ სტუდიაში გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“ (აჭარის ჯგუფი) და სრულიად დამოუკიდებლად თავისი დაუღალავი, კეთილსინდისიერი შრომით გამოიჩინა თავი როგორც რეჟისორმა. მალე კიდეც მიიწვიეს რუსთაველის თეატრში, სადაც დადგა გ. მდივნის „ალკაზარი“. „ქართულ თეატრს მოევლინა ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორი“, — წერდნენ გაზეთები. დოდო ალექსიძე მიიწვია სამსონ სულკაურმაც მსახიობის ოსტატობის მასწავლებლად კინოსამსახიობო სტუდიაში, სადაც შერჩეული იყვნენ შესანიშნავი პედაგოგები: მხატვრულ კითხვაში — ნიკო შიუკაშვილი, რითმიკაში — ვალენტინა ჟღენტი, დასავლეთ ევროპის თეატრის ისტორიაში — აკაკი ფაღავა, საქართველოს თეატრის ისტორიაში — დავით კასრაძე. ქართული ენისა და ლიტერატურის კურსს თედო ბეგაშვილი კითხულობდა, ხოლო დასავლეთ ევროპის ლიტერატურას — შალვა ნუცუბიძე.

დოდო ალექსიძე — რუსთაველის თეატრის რეჟისორი, ალექსიძე—რუსთაველის თეატრთან არსებული სტუდიის პედაგოგი. ახალგაზრდა ხელოვანი გატაცებით შრომობდა ყველგან და თავიდანვე მოეკიდა ყურადღების ცენტრში.

სწორედ ამ დროს შევდგი ფეხი კინოსტუდიაში — ეს იყო 1936 წლის 15 აგვისტო.

— მოდის, მოდის, დოდო ალექსიძე მოდის, — აფორიაქდნენ ბავშვები და დერეფანში აქეთ-იქით გაიფანტნენ. — დოდო ალექსიძე იქნება მსახიობის ოსტატობაში, რა კარგია!

... მარდი, დიდი ნაბიჯებით, კეთილი ღიმილით შემოვიდა, მკვირცხლი თვალებით ყველა მიათვალთვალა, ყველას მიესალმა და შევიდა საგამოცდო დარბაზში. დადგა ჩემი ჯერი. შევედი. გრძელ მაგიდას უსხდნენ აკაკი ფაღავა, ნიკო შიუკაშვილი, ვალენტინა ჟღენტი, მოშორებით სტუდიის დირექტორი სამსონ სულკაური შევნიშნე (მან შემაგულიანა, სტუდიაში შევსულიყავი).

დოდო ალექსიძე ჩემგან წამოვიდა და მკითხა, რამდენი წლისა ხარო.

... თექვსმეტისა ვიყავი...

— რატომ მოხვედი გამოცდაზე?

— მე მუდამ ვოცნებობდი მსახიობობაზე, — ვუპასუხე.

— კარგი, კარგი, მსახიობი მეოცნებე უნდა იყოს! — ალერსიანად შემომარტყა ლოყაზე ხელი და თეატრი დამაბედა!

ასე გავხდი კინოსამსახიობო სტუდიის სტუდენტი.

შენობის უქონლობის გამო ერთხანს ლექციები გვქონდა ფილარმონიის შენობაში, შემდეგ კამოს ქუჩაზე ნახმოვის სკოლაში მოგვცეს საკლასო ოთახი სიღამოს 6 საათიდან, სადაც იყო მერხები, ერთი მაგიდა და კარადა. მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა, არ გვახსოვს ალექსიძის უკმაყოფილება, საყვედური, პირიქით, უდიდესი გატაცებით გვიყვებოდა ვახტანგოვის სტუდიაზე, მეიერხოლდზე, სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს თეატრზე, გვისახელებდა ლიტერატურას, პიესას, რომელიც უნდა წაგვეკითხვა, და ჩვენც სულგანაბული, მონუსხულები ვუსმენდით. დასამუშავებლად მან შილერის „ვერაგობა და სიყვარულიდან“ შეიარჩია ნაწყვეტი — ფერდინანდის და ლუიზას შეხვედრა; მე — ლუიზა, თემო ხელაშვილი — ფერდინანდი. როგორი სიყვარულით, როგორი ყურადღებით გვადევნებდა თვალს, არ გამოეპარებოდა არც ერთი ნიუანსი, გარდერობიც თვითონ შეგვირჩია კოსტიუმები. კინოსტუდიის დიდ პავილიონში გააკეთებინა პატარა სცენა, დაპატიჟა თეატრალური საზოგადოება, მწერლები, მსახიობები და მოაწყო თავისი კურსის ნამუშევართა ჩვენება. —მსახიობი თავიდანვე უნდა შეეჩვიოს სცენას, მსახიობმა უნდა იცოდეს კოსტიუმის ტარება— ამბობდა იგი. დიდი გამოხმაურება მოჰყვა ამ საჩვენებელ საღამოს და ალექსიძემაც უფრო გატაცებით განაგრძო მუშაობა, მოგვცა ნაწყვეტი გრიბოედოვის კომედიიდან „ვაი ჭკუისაგან“. ლიზას როლი მე დამაკისრა. — ხვალ მოიტან პატეფონს, ფირფიტებს, შეეარჩევთ მუსიკას, მოიტანე ლამფა ან სანთელი, რომ შეგქმნათ სათანადო ატმოსფერო... და მეორე დღეს მოვდიოდით დატვირთულები, სკოლის მთელი დერეფანი ამბაურდებოდა, ჩვენ რომ ვიწყებდით რეპეტიციას, მერხებს მიგწევ-მოგწევდით, ერთმანეთზე ვდგამდით, რა თქმა უნდა, ჩვენთან ერთად ბატონი დოდოც მუშაობდა. გვაოცებდა მისი ენერგია, შემართება, ერთგულება; ყველფერს ეგუებოდა, ჩვენ, ჩვენი აღზრდა, ჩვენთან მუშაობა იყო მისთვის მთავარი. ყველას ერთნაირად გვექცეოდა, გვინერგავდა თეატრის სიყვარულსა და პატივისცემას. ასეთ პირობებში ვიმუშაავეთ ორი წელი.

1939 წელს ჩამოყალიბდა თეატრალური ინსტიტუტი და, რა თქმა უნდა, ალექსიძე იქაც მიიწვიეს. მეც იქ გადავედი და გავხდი თეატრალური ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი. მსახიობის ოსტატობის კურსს ბატონი დოდო გვკითხავდა. მან შეარჩია „მოლიერის „სგანარელი“, რომელშიც მე ვთამაშობდი სგანელიას. ის რეპეტიციები დაუვიწყარია ჩემთვის. ალექსიძე თავის სტიქიაში იყო! როგორ გატაცებით გვიხსნიდა ეპიზოდებს, უფრო ნათლად რომ წარმოგვედგინა, თამაშობდა; თუ საჭირო იყო, ცეკვავდა, გადახტებოდა, იატაკზე დაწვებოდა... ისმოდა სიცილი, კივილი, მაგრამ ეს რეპეტიციები უჩვეულო და ძალიან საინტერესო იყო. ყველაფერი მოგვწონდა, რასაც ალექსიძე გვაკეთილშობილებდა, ქართულ თეატრს იშვიათად ახსოვს ხალხის მებრძოლი სულის ასე მძლავრად გამომჟღავნებული სპექტაკლი.

მრავალმხრივ იყო საინტერესო ო. იოსელიანის პიესის („ადამიანი იბადება ერთხელ“) დადგმა. დ. ალექსიძემ პირველმა გააცნო ქართულ აუდიტორიას ბ. ბრეჰტის შემოქმედება, კერძოდ „სამგროშიანი ოპერა“, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

როცა დ. ალექსიძის სპექტაკლებს „ოიდიპოს მეფეს“, „ბახტრიონს“, „ფერროსმანს“ და სხვა წარმოდგენებს ვიხსენებთ, ნათელი ხდება რეჟისორის ტალანტის ძალა, მისი ხელოვნების მებრძოლი ბუნება. არა სულიერი ძალების მოდუნება, არა ობივატელური გულგრილობა და მშვიდობიანი ბურჟუნი პატარა ადამიანებისა, არამედ სიმხნევე და პოეტური ამაღლებულობა, ემოციური სიდიადე და სილამაზე — ასეთია რეჟისორის მოქალაქეობრივი პოზიცია.

„ბახტრიონი“ და „ოიდიპოს მეფე“ ქართული თეატრის კლასიკური სპექტაკლებია. ორივე სპექტაკლი აღიარა და შეიყვარა საბჭოთა მაყურებელმა. ისინი შევიდნენ საბჭოთა თეატრის ისტორიაში. „ლიტერატურნაია გაზეტას“ აზრით, დ. ალექსიძის „მონუმენტურ სპექტაკლებს — „ოიდიპოს მეფესა“ და „ბახტრიონს“ პრინციპული მნიშვნელობა აქვთ არა მარტო ქართული თეატრისათვის, არამედ, საერთოდ, საბჭოთა კავშირის თეატრებისთვისაც“.

ცალკე კვლევის საგანია დ. ალექსიძის მოღვაწეობა უკრაინაში. მისი სპექტაკლები „ანტიგონე“, „ურიელ აკოსტა“, „ოტელო“, „ხსოვნა გულისა“, „სპპატარძლო აფიშით“ უკრაინული თეატრის ისტორიის კუთვნილები „ბახტრიონში“ „ბალდა, მათ ახალი ცხოვრებისმყოფელი ნაკადი შეიტანეს თეატრის ცხოვრებაში. „უკრაინის პერიოდის“ შეჯამება იყო რეჟისორისათვის უკრაინის სახალხო არტისტისა და ტ. შევჩენკოს სახელობის პრემიის ლაურეატის წოდებათა მინიჭება. ალექსიძემ უკრაინის თეატრში არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა წარმოაჩინა.

უკრაინიდან დაბრუნების შემდეგ დ. ალექსიძე სათავეში ჩაუდგა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრს; მისთვის ეს ერთობ რთული პერიოდი იყო. სირთულეს ქმნიდა არა მარტო თეატრის მაშინდელი შემოქმედებითი ცხოვრების ხასიათი, არამედ თვით ხელოვანის განსხვავებული ხელწერაც. საგანგებოდ ფრდი აღინიშნოს ალექსიძის სპექტაკლები: ა. ჭორნეიჩუკის „ხსოვნა გულისა“ და მ. ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“, ნ. გოგოლის „ქორწინება“. ეს წარმოდგენები გამორჩეულად რეალისტური სისადავით, ფსიქოლოგიური სიღრმით, პოეტური განწყობილებათა სიმდიდრით.

ხელოვანი სპექტაკლებს დგამს მოსკოვში, ლენინგრადში, ტაშკენტში, ერევანში, ქმნის „მეგობრობის თეატრს“. ეს ფართო მასშტაბის მოღვაწეობაა.

თავის საიუბილეო წელს დ. ალექსიძემ დედაქალაქის საოპერო თეატრში დადგა ვერდის „ოტელო“. კვლავ გამოჩნდა ალექსიძისეული მიზანსცენები, დინამიკური მოქმედება, ნათელი ფორმები.

ქართული საბჭოთა თეატრის ისტორია განუყოფელად არის დაკავშირებული დ. ალექსიძის სახელთან. მისი შთამაგონებელი ხელოვნება ხალხის საკუთრებად იქცა. ხალხმა კი იცის თავისი მამულშვილის ღვაწლისა და ამაგის დაფასება.

ვასილ კიკნაძე.

მოამაგე

მოგონების

რამდენიმე

ფურცელი

ჩვენი თაობის თეატრალური ესთეტიკა დიმიტრი ალექსიძის დროინდელმა რუსთაველის თეატრმაც ჩამოაყალიბა. ჩამოაყალიბეს იმ სპექტაკლებმა, რეჟისორული აზროვნების იმ სისტემამ, 50-იანი წლების დამლევისა და 60-იანი წლების დამდეგის რუსთაველის თეატრს რომ ჰქონდა, იმ ზემოქმედებამ, რომელსაც ამ თეატრის სპექტაკლები ახდენდა ჩვენზე. ზემოქმედება კი მართლაც უზარმაზარი იყო. მახსოვს, როგორი ვიყავით ჩვენ „ბახტრიონის“ შემდეგ, რაოდენ ამაღლებულნი, ნათელნი გამოვდიოდით სპექტაკლიდან, რაოდენ პოტენციური გახლდათ ის პატრიოტული მგზნებარება, რომლითაც „ბახტრიონის“ შემქმნელები აკსებდნენ ჩვენს სულს.

რაოდენ დიდებულად ჩანს დროის მან მანძილიდან დ. ალექსიძის მოღვაწეობის, მისი ხელმძღვანელობის ეს ეტაპი, როცა იგი ფაქტობრივად

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

კამათი „დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და ინვალიდთა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის შეღავათების თაობაზე კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობის“ შესახებ მოხსენების გამო

(დასასრული)

გახდა გამარჯვების დღის აღსანიშნავად გამართული შეხვედრები, შემოგარენის ხე-ნარგავებით გამშვენება.

ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს ეაკობ გოგებაშვილის სოფელში—ვარიანშიც დავდგათ ობელისკი მინმოოუსვლელთა ხსოვნის პატივსაცემად. ვფიქრობთ, ამ საქმეში ჩვენი ხელმძღვანელობა მხარს დაგვიჭერს.

მე კი, ჩემის მხრივ, ვეცდები ყველა გავიღვიძო ჩვენს ახალგაზრდობას პატივისცემის გრძნობა ამ ღირსეული ადამიანების მიმართ, რათა ისინი კიდევ უფრო მეტი პატივისცემით განიმარტონ შინმოუსვლელებისა და ვეტერანების მიმართ.

დეპუტატ
ვ. ი. კლიევის
სიტყვა

დიდი სამამულო ომის ინვალიდთა და მონაწილეთა, დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების საკითხები ნიადაგ არის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყურადღების ცენტრში.

ყველა ინვალიდი, რომელსაც ავტომანქანის მიღების უფლება აქვთ, უზრუნველყოფილია ამ მანქანებით, ხოლო 1980 წელს ახალი ავტომანქანები მიეცემა 16 ინვალიდს. 17 ინვალიდმა და 35 დაღუპული მეომრის ოჯახებმა კეთილმოწყობილი ბინები მიიღეს. ამავამად აღრიცხვაზე დგას 12 ინვალიდი და 42 ოჯახი, რომელსაც ბინით უზრუნველყოფთ 1980-1981 წლებში. ოლ-

დღევანდელი ნომრის სტუმარი



სატირის სიმართლე

არკადი რაიკინის სალამოები თბილისში

ამ რანგის მსახიობთა ჩამოსვლა ყოველთვის დღესასწაულია მაყურებლისათვის. ახლა სსრ კავშირის სახალხო არტისტი არკადი რაიკინი გვყავს სტუმრად.

ლაღი, გადამდები სიცილი მოსდებია საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზს. თვითონ მსახიობი კი საკუთრივ სერიოზულად გვიყვება ათასგვარ ცხოვრებისეულ ამბებს. დიდია ჰუმორიტ სატირის ძალა.

— სატირა წარმოუდგენელია ესაკეთოდ, — ვკითხავ. „რაიკინი, — მართალია, ის მიზეზში უნდა ხედებოდეს, მაგრამ არამც და არამც — ბორორად. სხვაგვარად ვერც მოაშთობ მანკიერებას.

— ეს, ალბათ ახალი პროგრამაა.

— დიახ, მე ვკითხულობ ჩემი მშობლიური თეატრის, ლენინგრადის მინიატურების სახელმწიფო თეატრის სპექტაკლების „სიცოცხლის ხისა“ და „მისი უდიდებულესობა თეატრის“ ნაწყვეტებს.

— ვინ წერს თქვენთვის, თუ გაგიგია საყვარელი ავტორები?

— აბა, მიმოიხილეთ ირგვლივ, ცხოვრებაზე უკითხე ავტორს სად ნახავთ, თვით ხალხი, საზოგადოება, ათასნაირი ხასიათი, მე ყოველთვის მათ ვესესხები და შემდეგ სცენიდან ვუბრუნებ ყოველივეს.

— თუ გზამთ შემთხვევითი წარმატების ფაქტორი ხელოვნებაში?

— შემთხვევით ხელოვნებაში არაფერი ხდება. და თუ ასეა,— იქ სიყალბეა. რა თქმა უნდა, წარმატება შეიძლება იყოს შემთხვევითი, თუმცა ამას მაყურებლის გემოვნება განსაზღვრავს.

— იქნებ გვითხრათ, ხომ არ გაგიგია ღირსეული მემკვიდრე თქვენს ჟანრში?

— თუ შეიძლება უფრო ზოგადად გიპასუხებთ: მსახიობს არ ჰყავს მემკვიდრე, თუ მისი ხელოვნება მნიშვნელოვანია, ჰუმორიტია, რადგან ასეთ ხელოვნებას საზოგადოებრივი ღირებულება აქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხალხში ტოგეებს ვიაღლ, მკვიდრდება. უკეთეს მემკვიდრეს კი ვერც ინატრებ.

— თქვენს პირდაპირ მემკვიდრეზე კონსტანტინე რაიკინზე ხომ არაფერს გვეტყვით?

— მე არ მინდა შევიქმნა იგი. ისე კი, რა თქმა უნდა, იკით, რომ სხვადასხვა ჟანრში გამოდის, დგამს სპექტაკლებს (ახლახან „მოუგალი“ წარმოადგინა), იღებენ კინოფილმებში, ტელესპექტაკლებში, მღერის, ცეკვავს... ერთი სიტყვით, ჯერ მას ყველაფერი იტაკვებს.

— როგორ გგონიათ, აქვთ ქართველებს ნადი იუმორის გრძნობა?

— უსათუოდ. მე ხომ პირველად არ გამოვდივარ მათ წინაშე.

— გმადლობთ საუბრისათვის.

ვ. მარდალეიშვილი.

(დასასრული)

ქის სავაჭრო ორგანიზაციები ომის ინვალიდებს რიგგარეშე ემსახურებიან, ხოლო პირველი ჯგუფის ინვალიდებისადგის შინ მიიტანენ პროდუქტები.

შეძლებისდაგვარად, ინვალიდებს ეძლევათ საშენი მასალა, სათბობი, უწევენ მატერიალურ დახმარებას, აძლევენ სანატორიუმების საგზურებს.

მინდა შემოვიტანო ზოგიერთი წინადადება დიდი სამამულო ომის ინვალიდი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ, სახელდობრ მიზანშეწონილია, რომ: ომის ინვალიდები ბინის მიღების აღრიცხვაზე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა აიყვანონ მათს მუდმივ საცხოვრებელ ადგილს ცხოვრების ვადის მხედველობაში მიღებლად, ცალკე რიგის მიხედვით; ომის ინვალიდებს სანატორიუმის საგზურები მიეცეთ ძირითადად ზაფხულის თვეებში; საჭიროა აგრეთვე საშენ მასალათა მიზნობრივი გამოყოფა ომის ინვალიდებისათვის, რომლებიც საცხოვრებელ სახლებს იშენებენ; არსებული დებულების თანახმად, ომში დაღუპულთა შვილები გათხოვების ან დაცოლშვილების შემდეგ კარგავენ შეღავათებს. მიმაჩნია, რომ ეს შეღავათები მათ უნდა დავუტოვოთ.

დეპუტატ
მ. მ. საარიანის
სიტყვა

პარტიის ახალქალაქის რაიკომის მიურომა და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის სხდომებზე რეგულარულად განვიხილავთ იმ საკითხებს, თუ როგორ ხორციელდება პრაქტიკულად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 10 ნოემბრის დადგენილება „დიდი სამამულო ომის მონაწილეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

დამტკიცებულია პირსპექტიული სამუშაო გეგმები, რომლებიც ითვალისწინებენ ყოფილ მეომართა მატერიალური პირობების, მათი სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების კონკრეტულ ღონისძიებებს. ამ დადგენილების შესრულებისადმი კონტროლისათვის რაიაღმასკომთან შექმნილი კომისია, რომელშიც შედიან პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, სოციალური უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლები.

მაგრამ დიდი სამამულო ომის მონაწილეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის მუშაობის პრაქტიკაში გვაქვს ნაკლოვანებებიც.

საწარმოებისა და ორგანიზაციების, მათი პარტიული და პროფკავშირული კომიტეტების ზოგიერთი ხელმძღვანელი ფორმალურად და ბიუროკრატიულად ეკიდება ომის მონაწილეთა საჭიროებებს, უყურადღებოდ უდგება მათი სათხოვრის განხილვასა და დაკმაყოფილებას.

რაიონში ჯერ კიდევ ბევრია ომის მონაწილეთა და ინვალიდთა ოჯახები, რომლებსაც კეთილმოწყობილი ბინები არა აქვთ, 15 ოჯახი მოუწყობელ ბინებში ცხოვრობს. ეს ნაწილობრივ იმითაც არის გამოწვეული, რომ მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები რაიონში არ ეწევიან საბინაო მშენებლობას.

დეპუტატ
გ. ნ. გურეშიძის
სიტყვა

ქალაქ ქუთაისის საერთო წარმატებებში, რომელსაც მეექვსედ გადაეცა სრულიად საკავშირო სამინისტრო დიდ მუშაობას იწევდა რესპუბლიკის კანონმდებლობის სრულყოფისათვის, იმ ნორმატიული აქტების დამუშავება-განახლებისათვის, რომლებიც არ საჭიროებენ უმაღლესი საბჭოს სესიაზე განხილვას.

რეგლამენტის პროექტთან ერთად ჩვენ ვიხილავთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტს. პროექტში უფრო ფართოდ და სრულად არის განსაზღვრული მუდმივი კომისიების სამართლებრივი სტატუსი, მათი ორგანიზაციისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპები, დაზუსტებულია მუშაობის ფორმები და მეთოდები, გაფართოებულია კომისიების უფლებამოსილება.

რეგლამენტისა და მუდმივი კომისიების დებულების პროექტები ხელს შეუწყობენ რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსა და მისი ორგანოების სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ორგანიზაციისა და საქმიანობის ყველაზე არსებით მხარეებს, ადგენს მათი საქმიანობის, სესიების მოწვევისა და ჩატარების, პრეზიდიუმის არჩევის, მთავრობის შექმნის, სახელმწიფო გეგმებისა და ბიუჯეტის განხილვის წესს და ა. შ. მასში ასახული და განვითარებულია კონსტიტუციური დებულებები უმაღლესი საბჭოსა და მისი ორგანების საკანონმდებლო, ორგანიზაციული, საორმსრულებო და საკონტროლო საქმიანობის შესახებ; განსაზღვრულია ამ ორგანოთა საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და პრინციპები,

პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესაბამისად იუსტიციის სამინისტრო დიდ მუშაობას იწევდა რესპუბლიკის კანონმდებლობის სრულყოფისათვის, ამ ნორმატიული აქტების დამუშავება-განახლებისათვის, რომლებიც არ საჭიროებენ უმაღლესი საბჭოს სესიაზე განხილვას.

რეგლამენტის პროექტთან ერთად ჩვენ ვიხილავთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტს. პროექტში უფრო ფართოდ და სრულად არის განსაზღვრული მუდმივი კომისიების სამართლებრივი სტატუსი, მათი ორგანიზაციისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპები, დაზუსტებულია მუშაობის ფორმები და მეთოდები, გაფართოებულია კომისიების უფლებამოსილება.

ბევრ ადგილზე ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სოციალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის განყოფილებებს დაემატოს თითო საშტატო ერთეული, ან სხვა შემთხვევაში ამ მიზნით აღმასკომებთან ჩამოყალიბდეს სპეციალური კომისიები. საჭიროდ მიგვაჩნია დაისტამბოს და გამოიცეს კანონთა კრებული, რომელიც გაითვალისწინებს ომის მონაწილეთა და ინვალიდთა შეღავათებს.

დეპუტატ
ვ. ი. კოგბასიძის
სიტყვა

ჩვენ, კავშირგაბმულობის სისტემის მუშაკები, ჯერ კიდევ დიდ ვალში ვართ სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდების წინაშე. სამამულო ომის ინვალიდების ტელეფონებით ურიგოდ უზრუნველყოფის საკითხი ელმძღვანელობა და კოორდინაცია, დამუშავდა მათი საქმიანობის წესდებას.

სამამულო ომის მონაწილეთა, ომის ინვალიდთა და ომში დაღუპულთა ოჯახებზე ზრუნვისა და შეღავათების თაობაზე კანონმდებლობის აღსასრულებლად საჭიროდ მიგვაჩნია ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს დაემატოს თითო საშტატო ერთეული, ან სხვა შემთხვევაში ამ მიზნით აღმასკომებთან ჩამოყალიბდეს სპეციალური კომისიები. საჭიროდ მიგვაჩნია დაისტამბოს და გამოიცეს კანონთა კრებული, რომელიც გაითვალისწინებს ომის მონაწილეთა და ინვალიდთა შეღავათებს.

დეპუტატ
მ. მ. ხანანაშვილის
სიტყვა

საქართველოს უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულების ახალი რედაქცია, მისი შეწყობრებები და დამატებანი, სხვა კანონებთან ერთად, მიზანს ისახავენ უზრუნველყონ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელება მთელი მეტანაზმის ზოგადი მუშაობა ჩვენი ქვეყნის განვითარების დღევანდელ ეტაპზე. დებულების ახალ რედაქციაში გათვალისწინებულია მუდმივი კომისიების მუშაობის მდიდარი პრაქტიკა, მათ შორის კომისიების საქმიანობა სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა სფეროში. უფრო მკაფიოდ არის განსაზღვრული კომისიათა უფლებამოსილებანი. გარდა ამისა, კონსტიტუციის შესაბამისად, განმტკიცებულია იმ სახელმწიფო ორგანოების და თანამდებობის პირთა მოვალეობანი, რომლებმაც უნდა შეასრულონ მუდმივი კომისიების მოთხოვნები, მოახსენონ კანონით დადგენილ ვადაში კომისიათა რეკომენდაციების განხილვის შედეგები და მიღებული ზომები.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციუზრუნველყოფის მუდმივ კომისიაში ჩემი მუშაობის გამოცდილების საფუძველზე შემიძლია მოგახსენოთ, რომ ეს ცვლილებანი და დამატებანი უაღრესად დროულია. ახალი დებულების თანახმად, გაზრდილია კომისიათა უფლება-მოსილებანი სახელმწიფო ორგანოების საზოგადოებრივი ორგანიზაციების და უწყებათა ხელმძღვანელების მიმართ.

ახალი დებულება მეტ საშუალებას გვაძლევს განვამტკიცოთ ურთიერთქმედება სხვა მუდმივ კომისიებთან, რაც თავის მხრივ, გააფართოვებს საკითხების კომპლექსური შესწავლის შესაძლებლობას და უფრო ქმედითი რეკომენდაციების შემუშავებას.

ბარდა ხსენებულისა, ცვლილებანი და დამატებანი ხელს შეუწყობენ კომისიის წევრთა აქტიურობის ზრდასაც, ეს კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მუდმივ-მოქმედ ხასიათს.

ყოველივე ეს მოწმობს დებულების ახალი რედაქციის დიდ როლს მუშაობისა და მართვის ხარისხს ამაღლებაში. (საქინფორმი).

ᲣᲐᲒᲐᲨᲘ

სატირული ირგვლივ

ᲪᲘᲠᲘᲜ. „ᲒᲐᲛᲝᲛᲨᲝᲛᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲛᲘ“ — ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲜ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲠᲔᲑᲘᲡ (1985-86 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲗᲐ ᲛᲘᲠᲜᲘᲡ) — ᲗᲐᲕᲐᲨᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲡᲐᲣᲑᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲘᲡᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲛᲐ Დ. ᲘᲐᲥᲝᲕᲚᲔᲕᲐᲛ. ᲛᲐᲒ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲢᲠᲘᲗ ᲑᲐᲢᲐᲠᲔᲘᲗ ᲪᲣᲠᲕᲐᲨᲘ ᲡᲐᲙᲐᲨᲘᲠᲝ ᲠᲔᲯᲘᲡᲢᲠᲘ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲗᲐ — 58,6 ᲬᲐᲛᲘ.

ᲤᲘᲠᲤᲘᲠᲘᲗᲘ. გრძელდება წინაოლიმპიური შესარჩევი ტურნირები. აზიის პირველ ჯგუფში (მატჩები იმართება ბაღდადში) ლიდერობენ ირაყისა და კუვეიტის გუნდები. აზიის მეორე ჯგუფში დაწინაურდნენ მასპინძლები — მალაიზიელები. ევროპის ქვეყნების გუნდების ასპარეზობაში თამაშდება მოსკოვის ოლიმპიადის ორი საგზური. ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა უკვე გაიარა მოსკოვში თამაშის უფლება. მეორე საგზური ერთმანეთს ეკიდებიან სურიანამი და კოსტა-რიკა. ევროპის მეორე ჯგუფში თუ იუგოსლავიელები 2 აპრილს მოიგებენ თურქებს, ისინი მოიპოვებენ ოლიმპიადის საგზურს. თუ ასე არ მოხდა, მაშინ იტალიელები იასპარეზებენ მოსკოვის ოლიმპიადაში.

ᲰᲘᲓᲐᲐᲜᲓᲐ. თბილისის ფალავანთა კლუბში გაიმართა საქართველოს პროფკავშირების სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირად-გუნდური პირველობა ძიუდოში, კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში. ძიუდოში გუნდური გამარჯვება მოიპოვა „ᲑᲣᲠᲔᲒᲘᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡ“, კლასიკურ ჭიდაობაში — „ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲘᲙᲘᲡ“ თავისუფალ ჭიდაობაში — „ᲡᲐᲠᲢᲐᲚᲘᲡ“.

ᲞᲐᲓᲐᲠᲐᲙᲘ. ᲩᲐᲓ-ᲚᲐᲣᲢᲔᲠᲑᲔᲠᲒᲨᲘ (ᲒᲤᲠ) ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲯᲔᲠᲓᲘᲡᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲢᲩᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘᲡᲐ (ᲒᲤᲠ) ᲓᲐ ᲐᲜᲓᲠᲔᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ (ᲣᲜᲒᲠᲘᲗᲘ) ᲛᲝᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲗ. ᲛᲝᲒᲒᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲚᲐ ᲓᲘᲡᲬᲘᲠᲔᲑᲐ. ᲐᲛᲐᲕᲐᲛᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ — 3,5:2,5 ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ᲤᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

30 მარტი

პირველი პროგრამა: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. საგელეევიზიო დოკუმენტური ფილმი „არინას ბედნიერება“, 10.00 — შეკვისწავლილი რუსული ენა (ფ.), 10.30 — „მაღვიძარა“ (მ.), 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი“ — „სიასლენი, პრობლემები“ (ფ.), 11.45 — ქართული საგალეევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბაღის სამეგაულები“ (ფ.), 12.00 — „ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲗᲮᲔᲚᲔᲑᲘ“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 12.45 — „დილის ფოსტა“ — მუსიკალური პროგრამა (მ.), 13.30 — „სოფლის საათი“ აბაშის რაიონის სოფელ სუფეულის საბჭოთა მეურნეობის გამოცდილება (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.30 — „ᲨᲔᲮᲔᲓᲕᲘᲗᲘ ᲓᲘᲓᲘᲐᲜᲘ“ საგელეევიზიო ჟურნალი, 15.00 — ტელეკურსელთათვის ქართული ენა და ლიტერატურა“, სტუდიაში: დოცენტი თ. კვაშნაძირაძე (ფ.), 15.30 — „ᲐᲕᲢᲝᲙᲠᲘᲜᲘᲙᲘ“ (ფ.), 16.00 — „ᲙᲘᲜᲝᲡᲐᲛᲘᲜᲐ“, 16.20 — ვ. ი. ლენინის მწერლების მოგონებებში (ფ.), 17.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის თასზე. თბილისის „დინამო“ — გამაკეტების „ფახთაკორი“. ტრანსლაცია თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან, 18.45 — კინონარკვევი, 19.00 — საერთაშორისო პანორამა (მ.), 19.45 — მულტფილმი, 19.55 — ქართული საგელეევიზიო დოკუმენტური ფილმი „დიმიტრი ალექსიძე“, 20.25 — „ᲨᲝᲛᲐᲒᲘ“ (ფ.), 20.55 — ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი — საგელეევიზიო დოკუმენტური ფილმი „ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘ — ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲚᲘᲡ, ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ“. „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲕᲐᲨᲕᲔᲠᲗᲔᲗ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲛᲨᲐᲠᲝᲡ“. ფილმი მეორე. პრემიერა (მ.), 22.00 — „ᲕᲠᲔᲛᲘᲐ“ (მ.), 22.35 — საესტრადო კონცერტი (ფ.).

მეორე პროგრამა: 16.20 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „სოფელი უგაკ“ (ფ.), 17.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.05 — გორის პიონერთა სახლის სპექტაკლი „ამბავი ორი ბიჭისა“ (ფ.).

3. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ



(აკ. წერეთლის გამზ. № 2)
8 აპრილს

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

სსრ კავშირის პირველობა **თბილისის „დინამო“ — მინსკის „დინამო“**

ძირითადი შემადგენლობა.
დასაწყისი 19 საათზე.

ორგანიზაციებისთვის ბილეთები გაიყიდება 1 და 2 აპრილს დილის 10 საათიდან. ბილეთების საერთო გაყიდვა — 3 აპრილს დილის 10 საათიდან „დინამოს“ სტადიონის სალაროებში.

ძალაშია 1980 წელს გაცემული ყველა ნაშვი.

საათადარიგო შემადგენლობის თამაში გაიმართება 2 აპრილს „განთიადის“ სტადიონზე (26 კომისრის რაიონი). დასაწყისი — 17 საათზე.

საქინფორმის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 78 წლისა გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ჟურნალისტი, ქართული პრესის ამაგდარი მოღვაწე, საქინფორმის ფოტოკორესპონდენტი **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲕᲝᲚᲚᲙᲘ**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ᲓᲘᲓᲚᲐᲕᲘᲜᲘᲡ ᲖᲣᲠᲑᲖᲔ

რუკინეთის სოციალისტური რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების სესია

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 29 მარტი. დღეს აქ მუშაობა განაგრძო დიდი ეროვნული კრების პირველმა სესიამ. დეპუტატებმა აირჩიეს რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო, რომლის თავმჯდომარე, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, გახდა რუმინეთის პრეზიდენტი ნ. ჩაუშესკუ.

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრად არჩეულია ი. ვერდეკი. დამტკიცდა მინისტრთა საბჭოს ახალი შემადგენლობა. საგარეო საქმეთა მინისტრად დაამტკიცეს შ. ანდრეი, ეროვნული თავდაცვის მინისტრად — კ. ოლტეანუ. სესიამ დაამტკიცა ადრეთვე რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობა.

სხდომის დასასრულს მიიღეს მიმართვა ჰელსინკის ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების პარლამენტებისადმი. იგი მოუწოდებს ყოველი ღონე იხმაროს ევროპის კონტინენტზე უშიშროებისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფად.

დისკრიმინაცია კომპარტიის მიმართ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 29 მარტი. შეერთებული შტატების რეაქციული წრეები არ წყვეტენ ცდებს ხელი შეუშალონ ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის წინასაარჩევნო კამპანიის წარმატებით ჩატარებას.

კომპარტიის ხელმძღვანელობამ მტკიცე პროტესტი განაცხადა მენის შტატის ხელისუფალთა უკანონო მოქმედებასთან დაკავშირებით, რომლებიც დაბრკოლებებს უქმნიან ამერიკელ კომუნისტებს. ამ შტატის მთელ რიგ საარჩევნო უბნებში ხელისუფალთა წარმომადგენლები უარს ამბობენ ოფიციალურად ცნონ 1980 წლის არჩევნებში პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის პოსტებზე კომუნისტი კანდიდატების — ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის გენერალური მდივნის გ. ჰოლსისა და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის, რასიზმის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლის ა. დივისის მხარდასაჭერი პეტიციების ხელმოწერები.

აღმაშფოთებელი, ანტიდემოკრატიული და ანტიკონსტიტუციური უწოდა ამ მოქმედებას ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ეროვნულმა თავმჯდომარემ ჰ. უინსტონმა.

ანტიირანული კამპანია

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 29 მარტი. მას შემდეგ, რაც ირანის ყოფილი შაჰი პანამიდან გაიქცა და ეგვიპტეს შეაფარა თავი, ამერიკის შეერთებულ შტატებში ძლიერდება ანტიირანული კამპანია.

თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა ჯ. პაუელმა პრესკონფერენციაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არასდროს „არ უთქვამს უარი ირანის კრიზისის გადასაწყვეტად სამხედრო საშუალებათა გამოყენების შესაძლებლობაზე“. ანალოგიური განცხადება გაიკეთა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჰ. კარტერმა.

რესპუბლიკური პარტიისაგან პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელების ერთ-ერთმა პრეტენდენტმა, კალიფორნიის შტატის ყოფილმა გუბერნატორმა რ. რეიგანმა ვისკონსინის შტატის ქალაქი მილუოკეში გამოსვლისას ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას მოუწოდა „გადაეცეროს“ ირანისადმი მიდგომა. ასეთივე პროვოკაციული მოწოდებებით გამოვიდა ახლახან „სპარეზიდენტო მარუოლის“ მეორე მონაწილე რესპუბლიკური პარტიისაგან, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი შეფი ჩ. ბუში.

ეს მოქმედა ირანის მიმართ როგორც ჩანს უბრალო დემონსტრაცია როდია. როგორც სატელევიზიო კომპანია ეი-ბი-სი იუწყება, „კარტერის მთავრობამ გადასინჯა თავისი პოლიტიკა ირანის მიმართ და, „შესაძლოა, ახალ ნაბიჯებს მოიმოქმედებს უკვე ამ კვირაში“. არსებითად ამასვე ადასტურებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ს. ვენსის გამოსვლაც სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში.

მოკლედ

ყოველ მხრიდან

29 მარტი

● **ᲡᲝᲤᲘᲐ.** მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის ქალაქ ტირგოვიშტის ფაბრიკა „სეპტემბრის“ კოლექტივს გადაეცა საბჭოთა საგარეო სავაჭრო გაერთიანება „რაზნოექსპორტის“ დიპლომი. ეს საწარმო ათ წელიწადზე მეტია საბჭოთა კავშირში გზავნის თავის ნაწარმის დაახლოებით 80 პროცენტს. კოლექტივის საწარმოო წარმატებებს საფუძვლად უდევს ფაბრიკაში დანერგული პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის სისტემა, ფართო სოციალისტური შეჯიბრება. წელს „სეპტემვრი“ სსრ კავშირში გაგზავნის მამაკაცის მილიონზე მეტს პერანგს. პირველი კვარტალის საექსპორტო მიწოდებათა გეგმა ვადამდე შესრულდა.

● **ᲚᲘᲡᲐᲑᲝᲜᲘ.** აქ გამოაცხადეს, რომ პორტუგალიის მთავრობამ სოფლის მეურნეობის მუშაობა პროფკავშირის მოქმედების პასუხად მიიღო და გადაწყვეტილება მიწის რეფორმის ზონაში გაგზავნოს პოლიციის სპეციალური რაზმები. პროფკავშირმა მოუწოდა გაფიცვა გამოაცხადონ იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ სულ უფრო ფართო ხასიათს იღებს ხელისუფალთა ცდები ლიკვიდაცია უყონ მიწის რეფორმის შედეგებს სამხრეთ პორტუგალიაში. პროფკავშირთა გამოსვლები ცხადყოფენ, რომ ქვეყნის სამხრეთი ნაწილის მოსახლეობა სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევს პორტუგალიის მემარჯვენე მთავრობის გეგმებს ლიკვიდაცია უყონ მიწის რეფორმის შედეგებს და მსხვილ აგრარიებს დაუბრუნონ მრავალი ათეული ათასი ჰექტარი სახნავი მიწები და საძოვრები.

● **ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ.** ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში საგარეო ვაჭრობის ბალანსის ყველაზე დიდი დეფიციტი რეგისტრირებულია ამა წლის თებერვალში. როგორც ვაჭრობის სამინისტრო იუწყება, დეფიციტმა 5,6 მილიარდ დოლარს მიაღწია. თებერვალში საგრძნობლად გაიზარდა ნავთობპროდუქტების იმპორტი, მიუხედავად ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებული ენერგიის მომჭერნეობის ღონისძიებებისა, აგრეთვე მსუბუქი ავტომანქანების იმპორტი.

ᲩᲐᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ

ᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ ჩაის კვირეული. ჩვენ ვესაუბრეთ ჩაის სახლის დირექტორს ნუნუ ნებიერიძეს და ვთხოვეთ მოეთხრო თუ როგორ მიმდინარეობდა ეს კვირეული რესპუბლიკაში.

— ჩაის წლევანდელი კვირეული, — თქვა მან, — რიგით მეთექვსმეტეა. როგორც ჩაის სახლს, ისე საზოგადოებრივი კვების სხვა ობიექტებს კვირეულის დღეებში ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტი სტუმარი ჰყავს. ახლა ძნელად მოიძებნება ოჯახი, სადაც ჩაი არ უყვარდეთ. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ შარშან ჩვენს რესპუბლიკაში, წინა წელთან შედარებით 22 პროცენტით მეტი ჩაი გაიყიდა, რაშიც უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვის ჩაის ტრადიციულ კვირეულს. ამ დღეებში ხომ